ռ 164/6 PX 4661/1 2cm

## ჩვენ ვიცით, როგორ შევქმნათ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების სისტემა!







## ჩვენ ვიცით, როგორ ავიხდინოთ ქართული ოცნება!

დამკვეთი: საარჩევნო ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება"; თბილისი, ერეკლე II მოედანი/ანტონ კათალიკოსის ქ.№3/36; დამამზადებელი: შპს "მუხა2012"; თბილისი, კოსტავას ქ.№69, ს/კ 400053838; ტირაჟი: 250000ც; თარიღი: 04-07.09.2012; (29.7სმ X 21სმ ორმხრივი) ერთი სახის სააგიტაციო მასალა.

**შემოგვიერთდი**

georgiandream.ge
ტელ: 219 7711

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლება ყველას!




**საარჩევნო ბლოკი**

**„ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“**

# ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება

41

## ცვლილებები რეალური შედეგისთვის!

- განათლება სამწუხაროდ არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. ძვირია სახელმძღვანელოები, ყოველწლიურად იზრდება იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც დაწყებით განათლებასაც კი ვერ იღებენ
- „საჩვენებელი სკოლების" გარდა, მოსწავლეთა ნაწილს კვლავ დანგრეულ და გაყინულ შენობებში უწევს სწავლა
- საშუალო სკოლებში მოუწესრიგებელია სასწავლო პროგრამები
- ხდება პედაგოგების პოლიტიკური ნიშნით შერჩევა და, შესაბამისად, დაუცველია მათი, როგორც დასაქმებულთა, უფლება
- უმაღლესი სასწავლებლები არ არიან დამოუკიდებლები, მათი მართვა ცენტრალიზებულია, უკიდურესად პოლიტიზებულია სტუდენტური თვითმმართველობები
- სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდას.

## ჩვენ ამას შევცვლით!

**ჩვენი მიზანია ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ყველასათვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი განათლების მიღებას**

„საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა მიეცეს თავისი ნიჭისა და უნარის სრულად გამოყენების საშუალება. ჩვენ მაღალგანვითარებულ ქვეყნად უნდა ვიქცეთ. ჩვენ შევქმნით და განვავითარებთ თანამედროვე სტანდარტების საგანმანათლებლო დაწესებულებებს. 21-ე საუკუნეში სწორედ განათლებით დავიმკვიდრებთ ღირსეულ ადგილს ცივილიზებულ სამყაროში".

ბიძინა ივანიშვილი



- საჯარო ბაგა-ბაღები გახდება უფასო
- ყველა სოფელს/თემს ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მაღალმთიანი რეგიონების სკოლებს
- მასწავლებლების შერჩევა მოხდება მხოლოდ მათი პროფესიონალიზმის მიხედვით
- მნიშვნელოვნად გაიაფდება სახელმძღვანელოები; მათი ნაწილი იქნება უფასო, შეღავათები დაწესდება მრავალშვილიანი ოჯახებისთვის
- ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება გათავისუფლდება პოლიტიკური წნეხისაგან
- უნივერსიტეტებს ექნებათ რეალური ავტონომია
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაუბრუნდება სამეცნიერო-კვლევითი ფუნქცია
- გაიხსნება ახალი, მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე უმაღლესი დაწესებულებები
- კონკურენტუნარიანი გახდება პროფესიული განათლება